

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1. კომპანია და მისი საქმიანობა	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები	20
5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული	21
6. წინა პერიოდის კლასიფიკაციების შესწორება	23
7. წმინდა გამომუშავებული პრემია	24
8. ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები	25
9. წმინდა ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვებში	25
10. შემოსავალი რეგრესიდან და გადარჩენილი ქონების რეალიზაციიდან	26
11. აკვიზიციური ხარჯები	26
12. წმინდა საპროცენტო შემოსავალი	26
13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	27
14. საკუროსო სხვაობის წმინდა შედეგი	27
15. მოგების გადასახადი	27
16. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	27
17. მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	28
18. სადაზღვევო მოთხოვნები	28
19. დებიტორული და სხვა მოთხოვნები	29
20. გაცემული სესხები	29
21. სხვა ფინანსური აქტივები	29
22. წინასწარ გადახდები	30
23. აქტივი გამოყენების უფლებით	30
24. სხვა ვალდებულებები	31
25. ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	31
26. საიჯარო ვალდებულებები	31
27. კაპიტალი	32
28. ფინანსური რისკების მართვა	32
29. კაპიტალის მართვა	34
30. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები	35
31. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები	35
32. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	37

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „სადაზღვევო კომპანია ტაოს“ აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება „სადაზღვევო კომპანია ტაოს“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 32-ე განმარტებით შენიშვნაზე, სადაც აღწერილია გარემოებები, რომელსაც ადგილი ჰქონდა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენ მოველით, რომ მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება ამ აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედრილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თადართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი მოცემული აუდიტისა, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის მალხაზ უჯმაჯურიძე.

მალხაზ უჯმაჯურიძე

შპს „ნექსია თიეი“-ს სახელით

8 აპრილი, 2020

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „სადაზღვევო კომპანია ტაოს“ აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება „სადაზღვევო კომპანია ტაოს“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 32-ე განმარტებით შენიშვნაზე, სადაც აღწერილია გარემოებები, რომელსაც ადგილი ჰქონდა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

Closer to you

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენ მოველით, რომ მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება ამ აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედრილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვვალევა ამ ფაქტის განცხადება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თადართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

Closer to you

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი მოცემული აუდიტისა, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის მალხაზ უჯმაჯურიძე.

მალხაზ უჯმაჯურიძე

შპს „ნექსია თიეი“-ს სახელით

8 აპრილი, 2020

თბილისი, საქართველო



Closer to you

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
მოზიდული პრემია		6,622	6,002
გადამზღვევლის კუთვნილი პრემია		-	(10)
წმინდა მოზიდული პრემია		6,622	5,992
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება		(317)	(2,073)
გადაზღვევის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილებაში		(4)	4
წმინდა გამომუშავებული პრემია	7	6,301	3,923
ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები	8	(2,297)	(811)
წმინდა ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვებში	9	(1,296)	(475)
წმინდა ზარალები		(3,593)	(1,286)
შემოსავალი რეგრესიდან და გადარჩენილი ქონების რეალიზაციიდან	10	363	97
აკვიზიციური ხარჯები	11	(282)	(174)
სადაზღვევო საქმიანობის შედეგი		2,789	2,560
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	12	1,132	760
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(566)	(371)
საკუროსო სხვაობის წმინდა შედეგი	14	98	106
შემოსავალი ჯარიმებიდან		24	8
სხვა შემოსავალი		51	5
მოგება დაბეგვრამდე		3,528	3,068
მოგების გადასახადი	15	(555)	(466)
წლის წმინდა მოგება		2,973	2,602
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		2,973	2,602

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 8 აპრილს:


ლაშა ხახუტაიშვილი

გენერალური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
მოზიდული პრემია		6,622	6,002
გადამზღვევლის კუთვნილი პრემია		-	(10)
წმინდა მოზიდული პრემია		6,622	5,992
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება		(317)	(2,073)
გადაზღვევის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილებაში		(4)	4
წმინდა გამოუმუშავებელი პრემია	7	6,301	3,923
ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები	8	(2,297)	(811)
წმინდა ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვებში	9	(1,296)	(475)
წმინდა ზარალები		(3,593)	(1,286)
შემოსავალი რეგრესიდან და გადარჩენილი ქონების რეალიზაციიდან	10	363	97
აკვიზიციური ხარჯები	11	(282)	(174)
სადაზღვევო საქმიანობის შედეგი		2,789	2,560
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	12	1,132	760
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(566)	(371)
საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი	14	98	106
შემოსავალი ჯარიმებიდან		24	8
სხვა შემოსავალი		51	5
მოგება დაბეგრამდე		3,528	3,068
მოგების გადასახადი	15	(555)	(466)
წლის წმინდა მოგება		2,973	2,602
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		2,973	2,602

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 8 აპრილს:


 ლაშა ხახუტაიშვილი
 გენერალური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16	617	654
მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	17	7,387	6,349
სადაზღვევო მოთხოვნები	18	2,595	2,220
დებიტორული და სხვა მოთხოვნები	19	51	35
გაცემული სესხები	20	5,251	3,338
სხვა ფინანსური აქტივები	21	207	200
წინასწარ გადახდები	22	200	161
გადავადებული აკვიზიციის ხარჯები	11	43	64
აქტივი გამოყენების უფლებით	23	48	-
გადაზღვევის აქტივები		-	4
არამატერიალური აქტივები		1	1
სულ აქტივები		16,400	13,026
ვალდებულებები			
ვალდებულება გადაზღვევიდან		-	9
სხვა ვალდებულებები	24	799	556
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	25	4,288	2,674
საიჯარო ვალდებულება	26	53	-
სულ ვალდებულებები		5,140	3,239
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	27	2,500	2,500
გაუნაწილებელი მოგება	27	8,760	7,287
სულ კაპიტალი		11,260	9,787
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		16,400	13,026


ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 8 აპრილს:

ლაშა ხახუტაიშვილი
 გენერალური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16	617	654
მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	17	7,387	6,349
სადაზღვევო მოთხოვნები	18	2,595	2,220
დებიტორული და სხვა მოთხოვნები	19	51	35
გაცემული სესხები	20	5,251	3,338
სხვა ფინანსური აქტივები	21	207	200
წინასწარ გადახდები	22	200	161
გადავადებული აკვიზიციის ხარჯები	11	43	64
აქტივი გამოყენების უფლებით	23	48	-
გადაზღვევის აქტივები		-	4
არამატერიალური აქტივები		1	1
სულ აქტივები		16,400	13,026
ვალდებულებები			
ვალდებულება გადაზღვევიდან		-	9
სხვა ვალდებულებები	24	799	556
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	25	4,288	2,674
საიჯარო ვალდებულება	26	53	-
სულ ვალდებულებები		5,140	3,239
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	27	2,500	2,500
გაუნაწილებელი მოგება	27	8,760	7,287
სულ კაპიტალი		11,260	9,787
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		16,400	13,026

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 8 აპრილს:


 ლაშა ხახუტაიშვილი
 გენერალური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	სააქციო კაპიტალი (27-ე შენიშვნა)	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2017	2,500	4,685	7,185
წლის სრული შემოსავალი	-	2,602	2,602
31 დეკემბერი 2018	2,500	7,287	9,787
წლის სრული შემოსავალი	-	2,973	2,973
გადახდილი დივიდენდები (27-ე შენიშვნა)	-	(1,500)	(1,500)
31 დეკემბერი 2019	2,500	8,760	11,260

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 8 აპრილს:


ლაშა ხახუტაიშვილი

გენერალური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	სააქციო კაპიტალი (27-ე შენიშვნა)	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2017	2,500	4,685	7,185
წლის სრული შემოსავალი	-	2,602	2,602
31 დეკემბერი 2018	2,500	7,287	9,787
წლის სრული შემოსავალი	-	2,973	2,973
გადახდილი დივიდენდები (27-ე შენიშვნა)	-	(1,500)	(1,500)
31 დეკემბერი 2019	2,500	8,760	11,260

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 8 აპრილს:


 ლაშა ხახუტაიშვილი
 გენერალური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მიღებული სადაზღვევო პრემია		5,973	3,640
გადაზღვევისათვის გადახდილი თანხები		(10)	-
გადახდილი სადაზღვევო ზარალები		(1,923)	(749)
გადახდილი აკვიზიციური ხარჯები		(171)	(124)
გადახდილი ხელფასები და სარგებელი		(53)	(67)
შემოდინება რეგრესიდან და გადარჩენილი ქონების რეალიზაციიდან		287	141
მიღებული პროცენტები		580	197
გადახდილი გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა		(31)	(9)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები		(220)	(175)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადის გადახდამდე		4,432	2,854
მოგების გადასახადი		(486)	(194)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		3,946	2,660
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
სესხის გაცემა		(4,170)	(4,124)
გაცემული სესხის ძირის დაფარვებიდან მიღებული შემოსავალი		2,388	2,745
თამასუქის შეძენა		-	(400)
შემოსავალი თამასუქების დაფარვიდან		-	306
საბანკო ანაზღაურებზე თანხების განთავსება		(4,010)	(5,950)
საბანკო ანაზღაურების თანხების გამოტანა		3,309	5,300
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,483)	(2,123)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
გადახდილი დივიდენდი	27	(1,500)	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,500)	-
წმინდა ცვლილება ფულად სახსრებში და მათ ეკვივალენტებში		(37)	537
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	16	654	117
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით		617	654

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 8 აპრილს:


ლაშა ხახუტაიშვილი

გენერალური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მიღებული სადაზღვევო პრემია		5,973	3,640
გადაზღვევისათვის გადახდილი თანხები		(10)	-
გადახდილი სადაზღვევო ზარალები		(1,923)	(749)
გადახდილი აკვიზიციური ხარჯები		(171)	(124)
გადახდილი ხელფასები და სარგებელი		(53)	(67)
შემოდინება რეგრესიდან და გადარჩენილი ქონების რეალიზაციიდან		287	141
მიღებული პროცენტები		580	197
გადახდილი გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა		(31)	(9)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები		(220)	(175)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადის გადახდამდე		4,432	2,854
მოგების გადასახადი		(486)	(194)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		3,946	2,660
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
სესხის გაცემა		(4,170)	(4,124)
გაცემული სესხის ძირის დაფარვებიდან მიღებული შემოსავალი		2,388	2,745
თამასუქის შეძენა		-	(400)
შემოსავალი თამასუქების დაფარვიდან		-	306
საბანკო ანაზრებზე თანხების განთავსება		(4,010)	(5,950)
საბანკო ანაზრების თანხების გამოტანა		3,309	5,300
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,483)	(2,123)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
გადახდილი დივიდენდი	27	(1,500)	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,500)	-
წმინდა ცვლილება ფულად სახსრებში და მათ ეკვივალენტებში		(37)	537
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	16	654	117
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით		617	654

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 8 აპრილს:


 ლაშა ხახუტაიშვილი
 გენერალური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

1. კომპანია და მისი საქმიანობა

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირებული სააქციო საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2007 წლის 22 აგვისტოს და მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა სადაზღვევო პროდუქტს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, ბერბუკის ქუჩა, N1, სართული 3, კომერციული ფართი N 12.

2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციონერია სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“ – 100%, რომლის ერთპიროვნული მფლობელია სს „ა გრუფი“, ხოლო საბოლოო მაკონტროლებელი 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ჯორჯია კაპიტალი“ (დაფუძნებულია გაერთიანებულ სამეფოში და მისი აქციები განთავსებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე).

კომპანიის მმართველი ორგანოა საერთო კრება და სამეთვალყურეო საბჭო. ყოველდღიური აქტივობები კომპანიაში კონტროლდება გენერალური დირექტორის მიერ. 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის გენერალური დირექტორია ლაშა ხახუტაიშვილი.

2. მომზადების საფუძვლები

ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

წინამდებარე ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელშიც მოხდა ფასს 16 „იჯარის“ გამოყენება. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება აღწერილია შენიშვნა 3-ში „სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების“ ნაწილში. კომპანია იყენებს ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტების“ დროებითი განთავისუფლების მიდგომას, შესაბამისად, კომპანიას დაგეგმილი აქვს, რომ ფასს 9 სრულად დაწერგოს 2022 წლის 1 იანვრიდან.

თანხები მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში ლარში და დამრგვალებულია ათასებამდე თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, სადაზღვევო ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანიამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება (იხილეთ შენიშვნა 32) და შედეგად, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701

საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2019	2018
1 USD/GEL	2.8192	2.5345
1 EUR/GEL	3.1553	2.9913

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები

კომპანიამ გამოიყენა ახალი სააღრიცხვო დებულებები, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან:

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 ანაცვლებს ბასს 17-ს „იჯარა“ და შემდეგ სამ ინტერპრეტაციას: ფასიკ 4 „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15 „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27 „გარიგების მინარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“.

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფასს 16-ის მიხედვით მოიჯარე აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას იმ იჯარებზე, რომლებიც მანამდე კლასიფიცირებული იყო ჩვეულებრივ იჯარად. არსებობს აღიარების გამონაკლისები მოკლევადიანი იჯარებისთვის (იჯარა, რომლის ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის შეადგენს არაუმეტეს 12 თვეს) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის.

ახალი სტანდარტი დაინერგა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით; კომპანია ფასს 16-ის გამოყენების კუმულაციური დაბალანსების კორექტირებას საწყის ბალანსზე აღიარებს წინა პერიოდის შესადარისი მონაცემების გადაანგარიშების გარეშე.

სტანდარტის დანერგვის თარიღისთვის გაფორმებული ხელშეკრულებებისთვის, კომპანიამ არჩია გამოყენებინა ბასს 17-ით და ფასიკ 4-ით მოცემული იჯარის განმარტება და არ მიუსადაგა ფასს 16 იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც არ იყო იდენტიფიცირებული, როგორც იჯარა, ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის მიხედვით.

კომპანია არ ითვალისწინებს თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოყენების უფლების შეფასებისას ფასს 16-ის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის, კერძოდ, 2019 წლის 1 იანვარს. კომპანია იჯარებზე ასევე აღიარებს გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივს საიჯარო ვალდებულების ოდენობით, რომელიც კორექტირდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იჯარასთან დაკავშირებული ყველა წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადასახადების თანხით.

სტანდარტის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებაზე განხილვის ნაცვლად მოიჯარემ ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით გააანალიზა იყო თუ არა იჯარა ზარალიანი სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

იმ იჯარისთვის, რომელიც წინათ კლასიფიცირებული იყო როგორც ფინანსური იჯარა, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება იქნება საიჯარო აქტივისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება, რომელიც მათ ჰქონდა უშუალოდ ბასს 17-ის გამოყენებით შეფასებამდე.

ფასს 16-ზე გადასვლისას, მოიჯარის ზღვრული საშუალო შეწონილი სასესხო განაკვეთი შეადგენს 8%-ს.

კომპანიამ გამოიყენა წარსული გამოცდილება იჯარის ვადის განსაზღვრისას, იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის მოლოდინების შეფასებისას.

სადაზღვევო ხელშეკრულებები

სადაზღვევო ხელშეკრულებები წარმოადგენს ისეთ ხელშეკრულებებს, რომლებიც გაფორმების მომენტისთვის ატარებს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს, ან ისეთ ხელშეკრულებებს, რომლებიც გაფორმების მომენტისთვის შეიცავს კომერციული შინაარსის ისეთ სცენარს, რომლის მიხედვითაც დაზღვევის რისკი შეიძლება მნიშვნელოვანი მოცულობის იყოს. სადაზღვევო რისკის მნიშვნელოვანი მოცულობა დამოკიდებულია როგორც დაზღვეული მოვლენის მოხდენის ალბათობაზე, ისე მისი შესაძლო ზემოქმედების მასშტაბზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მას შემდეგ, რაც ხელშეკრულებას მიაკუთვნებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კატეგორიას, იგი სადაზღვევო ხელშეკრულებად რჩება დარჩენილი ვადის განმავლობაში, მაშინაც კი, თუ ამ ხნის მანძილზე სადაზღვევო რისკი საგრძნობლად შემცირდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ყველა უფლება-მოვალეობა შესრულდება ან მათი ვადა ამოიწურება.

მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან

დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მისაღები მოთხოვნების აღიარება ხორციელდება სადაზღვევო პოლისის პირობების საფუძველზე და თვითღირებულებით. დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მოთხოვნების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურება მოწმდება მაშინ, თუ რაიმე მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულების მიღება შეიძლება ვერ მოხერხდეს, და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მოთხოვნები გადაზღვევიდან ძირითადად გულისხმობს სადაზღვევო და გადამზღვეველი კომპანიებისგან მისაღებ ნაშთებს, რომლებიც წარმოიშვა სადაზღვევო ვალდებულებების გადაცემის სანაცვლოდ. გადაზღვევის პრემიის შემოსავლად აღიარება ხდება იმავე წესით, როგორც მოხდებოდა, გადაზღვევა პირდაპირ გარიგებად რომ ითვლებოდა, გადაზღვევის პროდუქტების კლასიფიკაციის შესაბამისად. გადამზღვევლებისთვის გადასახდელი თანხები გამოითვლება შესაბამისი გადამზღვევლის პოლიტიკისა და გადაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით. გადაცემული პრემიები და გადახდილი მოთხოვნები წარმოდგენილია მთლიანი (ბრუტო) თანხებით.

გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხორციელდება სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებების გადაცემული წილის გაუფასურების ტესტირება. საგადაზღვევო დებიტორული დავალიანება უფასურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ მიიღოს ხელშეკრულების მიხედვით ყველა მისაღები თანხა და რომ ამის გაზომვა სათანადოდ შეიძლება.

ვალდებულებები სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან

სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოიცავს გადასახდელი სადაზღვევო ზარალების რეზერვს და გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს. გადასახდელი სადაზღვევო ზარალების რეზერვი განისაზღვრება ყველა მომხდარი, მაგრამ დაურეგულირებელი სადაზღვევო შემთხვევის საბოლოო ხარჯის შეფასებაზე დაყრდნობით. ასეთი შემთხვევები შეიძლება იყოს განცხადებული (RBNS) ან განუცხადებელი (IBNR). განცხადებასა და დარეგულირებას შორის არსებული დროის პერიოდის გამო, საბოლოო ხარჯი დაზუსტებით არ არის ცნობილი საანგარიშგებო თარიღში. მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის (IBNR) დათვლა ხდება წარსული სტატისტიკიდან გამომდინარე.

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი (UPR) წარმოადგენს მიღებული ან მისაღები პრემიის იმ ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღისთვის ამოუწურავ რისკებთან. UPR აღიარდება კონტრაქტის გაფორმებისას, ამ კონტრაქტის ვადის განმავლობაში მისაღები პრემიის ოდენობით.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ზოგად ვალდებულებებს შეადგენს ანგარიშგების თარიღისთვის მომხდარი, მაგრამ დაურეგულირებელი ყველა მოთხოვნის ერთიანი ხარჯი იმისდა მიუხედავად, განცხადებულია, თუ არა, ასევე მასთან დაკავშირებული მოთხოვნების დარეგულირების ხარჯები და მოსალოდნელი ნარჩენი და სხვა სალიკვიდაციო ღირებულების შემცირება. ვალდებულების გაანგარიშება ხდება საანგარიშგებო თარიღით, ფაქტობრივი მოთხოვნების პროგნოზირების სტანდარტული მეთოდებისა და არსებული დაშვებების გამოყენებით ვალდებულება არ დისკონტირდება ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში. არ ხდება კატასტროფული შემთხვევების რეზერვის აღიარება. ვალდებულების ჩამოწერა ხდება მისი დაფარვის მოთხოვნის ვადის გასვლის, შეწყვეტის ან გაუქმებისას.

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

რეზერვის აღიარება ხდება ხელშეკრულების ძალაში შესვლისას და პრემიის დარიცხვისას და აღირიცხება, როგორც შემოსავალი პრემიიდან ხელშეკრულების პერიოდში, ხელშეკრულების სადაზღვევო სექსის შესაბამისად. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აქტიურ პოლისებზე გამოუმუშავებელი პრემიის საბალანსო ღირებულება გამოითვლება სადაზღვევო პერიოდსა და თითოეული სადაზღვევო პოლისის ვადის ამოწურვამდე დარჩენილი დროის საფუძველზე. კომპანია ამოუწურავ რისკს განიხილავს ცალკეული ბიზნეს მიმართულებების წარსული საქმიანობის საფუძველზე, რათა განსაზღვროს საერთო ცვლილება მოსალოდნელ მოთხოვნებში. სხვაობა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს, ზარალის რეზერვსა და მოსალოდნელ სადაზღვევო მოთხოვნებს შორის აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი

ვალდებულების ადეკვატურობის შემოწმება ხდება იმისათვის, რომ დადგინდეს, აღემატება თუ არა მოსალოდნელი ზარალები გამოუმუშავებელ პრემიას (მინუს აკვიზიციის გადავადებული ხარჯი).

გადავადებული აკვიზიციური ხარჯები

გადავადებული აკვიზიციური ხარჯები კაპიტალიზდება და ამორტიზდება წრფივი მეთოდით კონტრაქტის მოქმედების პერიოდის განმავლობაში. პრემიების მოზიდვის ყველა სხვა ხარჯის აღიარება ხდება ხარჯად მათი გაწევისთანავე. გადავადებული აკვიზიციური ხარჯები მოიცავს გაყიდვების აგენტების პოლისების გაცემისთვის გადახდილ საკომისიოს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულისგან, მიმდინარე საბანკო ანგარიშებისა და საბანკო ანაზღაურებებისგან, რომელთაც აქვთ განთავსებიდან სამი თვის ვადა და არ აქვთ სახელშეკრულებო ვალდებულებები.

ფინანსური აქტივები

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებულ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ ინვესტიციების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი პირველადი აღიარებისას.

სესხები და მისაღები მოთხოვნები

სესხები და მისაღები მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ამ ფინანსური აქტივების აღიარება თავდაპირველად ხდება თვითღირებულებით, რაც წარმოდგენს ფინანსური აქტივის შესაძენად გადახდილი საზღაურის სამართლიან ღირებულებას. ფინანსური აქტივის თვითღირებულებაში შედის მის შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებული ყველა გარიგების დანახარჯი. პირველადი აღიარების შემდეგ სესხები და მისაღები პროცენტები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება სესხების და მისაღები მოთხოვნების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

რეგრესი და სხვა მისაღები მოთხოვნები აღიარებულია მათი პირველადი, ფაქტურული ღირებულებით. თუ ფულის დროითი ღირებულება არსებითია, მისაღები ანგარიშების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებოდ მიეთითება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, გაუფასურდა თუ არა ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი.

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის (გარდა სამომავლო დანაკარგებისა კრედიტზე, რომლებსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია), რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ანუ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომლის გაანგარიშებაც მოხდა პირველადი აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები

დაგირავებული ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევიდან, რასაც აკლდება უზრუნველყოფის საგნის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა უზრუნველყოფის საგნის გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევა.

კომპანია ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, ეს აქტივი შევა მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ფინანსური აქტივების ეს ჯგუფი გაუფასურებასთან მიმართებაში ფასდება ერთობლივად. აქტივები, რომელთა გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ შედის გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების ერთობლივად შეფასების პროცესში. თუ მომდევნო პერიოდში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება მანამდე აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა. გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ნებისმიერი შემდგომი აღდგენის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ისე, რომ

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდა მის ამორტიზებულ ღირებულებას აღდგენის თარიღისთვის.

უიმედო აქტივი ჩამოიწერება გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან ყველა საჭირო პროცედურის ჩატარებისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება მონაწილეობის შენარჩუნების პირობით. მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, კომპანიამ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად კომპანიამ უნდა შეაფასოს:

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი გამოითვლება მოქმედი ან ანგარიშგების თარიღის დღეს ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთით. დასაბეგრი მოგება სააღრიცხვო მოგებისგან განსხვავდება იმ მიზეზის გამო, რომ ზოგი შემოსავალი და ხარჯი არასდროს იბეგრება ან იქვითება, ან მათი დაბეგვრის ან დაქვითვის დროის მონაკვეთი განსხვავებულია მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობისა და სააღრიცხვო მიდგომების თვალსაზრისით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვალდებულებათა მეთოდით, გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და შესაბამის საგადასახადო ბაზას შორის ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც მოსალოდნელია აქტივის რეალიზების ან ვალდებულების დაფარვის პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთის (და საგადასახადო კანონმდებლობის) საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად თვლის კომპანია (უფრო სავარაუდოა ვიდრე არა), რომ იმავე საგადასახადო იურისდიქციის ფარგლებში მას ექნება საკმარისი დასაბეგრი მოგება აქტივის უტილიზაციისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიული უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებთან გასაქვითად, ისინი დაკავშირებულია ერთსა და იმავე საგადასახდო ორგანოსთან და კომპანიას სურს თანხების დაფარვა ურთიერთგაიქვითვის საფუძველზე.

პერიოდის განმავლობაში მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი წარმოიშვა ტრანზაქციიდან ან გარემოებებიდან, რომლებიც აღირიცხა სხვა სრული შემოსავლის ან პირდაპირ კაპიტალის მუხლში.

სარეზერვო და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

თუ კომპანია მოელის დარეზერვებული თანხის დაფარვას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების მიხედვით, დაფარვა აღიარდება ცალკე აქტივად, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ანაზღაურება რეალურად არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია.

კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც სააქციო კაპიტალი. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვეთება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები გაცხადდება მაშინ, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

მოზიდული პრემია და გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი

ბრუტო სადაზღვევო მოზიდული პრემია შედგება საანგარიშგებო პერიოდში გაფორმებული კონტრაქტების მოქმედების მთლიანი პერიოდის განმავლობაში მისაღები პრემიისგან. მათი აღიარება ხდება პოლისის ამოქმედების თარიღში. ეს პრემია მოიცავს წინა სააღრიცხვო პერიოდებში მოზიდული პრემიის კორექტირებას, რომელიც განხორციელდა მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში.

გამოუმუშავებელი პრემია არის წლის განმავლობაში მოზიდული პრემიის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ არსებულ რისკის პერიოდებთან. გამოუმუშავებული პრემია გამოითვლება ყოველდღიური სიხშირით პროპორციულად. მომდევნო პერიოდებთან დაკავშირებული პროპორცია გადავადებულია, როგორც გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი.

გადაზღვევის პრემია და გამოუმუშავებელი გადაზღვევის პრემიის რეზერვი

ბრუტო გადაზღვევის პრემია შედგება საანგარიშგებო პერიოდში გაფორმებული კონტრაქტების მოქმედების მთლიანი პერიოდის განმავლობაში გადასახდელი პრემიისგან. მათი აღიარება ხდება პოლისის ამოქმედების თარიღში. ეს პრემია მოიცავს წინა სააღრიცხვო პერიოდებში აღიარებული პრემიის კორექტირებას, რომელიც გახორციელდა მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში.

გამოუმუშავებელი გადაზღვევის პრემია არის წლის განმავლობაში აღიარებული დასათმობი პრემიის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ არსებულ რისკის პერიოდებთან. გამოუმუშავებელი გადაზღვევის პრემია გამოითვლება იმ სადაზღვევო პოლისის შესაბამისად, რომლის რისკის გადაზღვევაც ხდება.

სადაზღვევო ზარალები

სადაზღვევო ზარალები მოიცავს ყველა იმ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარ ზარალს, რომლებიც მოხდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, ისინი იყო განცხადებული თუ არა. ამ ზარალების გამოთვლისას გაითვალისწინება მათი დარეგულირების პირდაპირი ხარჯები, ანაზღაურებები (რეგრესი, გადარჩენილი ქონება) და წინა პერიოდების ზარალების კორექტირება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი.

ერთობლივი საქმიანობა: ერთობლივი ოპერაცია

ერთობლივი საქმიანობა ისეთი საქმიანობაა, რომელსაც ერთობლივად აკონტროლებს ორი ან მეტი მხარე. ერთობლივი ოპერაცია ისეთი ერთობლივი საქმიანობაა, რომლის დროსაც მხარეებს, რომლებიც

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ საქმიანობაზე, გააჩნიათ ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტივებზე უფლებები და პასუხისმგებლობა - ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე (განსხვავებით ერთობლივი საწარმოსგან, სადაც მხარეებს აქვთ უფლებები საქმიანობის წმინდა აქტივებზე). როდესაც ჯგუფი არის ერთობლივი ოპერატორი ერთობლივ ოპერაციაში, ის ამ

ოპერაციაში მისი ინტერესის გათვალისწინებით აღიარებს: (ა) თავის აქტივებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივ აქტივებში; (ბ) თავის ვალდებულებებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივად აღებულ ვალდებულებებში; (გ) თავის ამონაგებს, რომელიც მიიღო ერთობლივი ოპერაციის შედეგად წარმოებული პროდუქციის თავისი წილის გაყიდვიდან; (დ) თავის წილს ერთობლივი ოპერაციის შედეგად წარმოებული პროდუქციის გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებში; და (ე) თავის ხარჯებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივად გაწეულ ხარჯებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულება

დაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების საერთო მოცულობა კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებაა. არსებობს უზუსტობის რამდენიმე მიზეზი, რისი გათვალისწინებაც აუცილებელია კომპანიის მიერ ამ ზარალის ასანაზღაურებლად გადახდილი ვალდებულების შეფასებისას.

შეფასებები უნდა გაკეთდეს როგორც ანგარიშგების თარიღისთვის გაცხადებული ზარალის მოსალოდნელი ოდენობის, ისე ანგარიშგების თარიღისთვის მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის მოსალოდნელი საერთო მოცულობის შესახებ. ზარალის საერთო მოცულობის ზუსტად დადგენას შეიძლება გარკვეული დრო დასჭირდეს. ზოგად დაზღვევასთან დაკავშირებული ზარალის რეზერვის დისკონტირება არ ხდება ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად.

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის საერთო ხარჯი გამოითვლება ზარალის პროგნოზირების სტანდარტული აქტუარული მეთოდების გამოყენებით, მათ შორის ე. წ. ჯაჭვისებური კიბის მეთოდით; ამ მეთოდის ძირითადი საფუძველია ის დაშვება, რომ კომპანიის წარსულში დაგროვილი ზარალის დინამიკის გამოყენება შესაძლებელია სამომავლო ზარალის დინამიკისა და, შესაბამისად, ზარალის მთლიანი მოცულობის პროგნოზირებისთვის. ეს მეთოდები პროგნოზისთვის ახდენს გადახდილი და მომხდარი ზარალის, თითოეული მოთხოვნის საშუალო მოცულობისა და მოთხოვნების რაოდენობის ექსტრაპოლაციას გასული წლის ყოველთვიურ ტენდენციებზე და ასევე მოსალოდნელი ზარალის კოეფიციენტებზე დაყრდნობით.

სადაზღვევო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

გაუფასურების შესაფასებლად კომპანია რეგულარულად ამოწმებს მოთხოვნებს დაზღვევიდან. სააღრიცხვო მიზნებისთვის კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარებისთვის იყენებს განცდილი ზარალის მოდელს. რაც იმას ნიშნავს, რომ ზარალის აღიარება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კონკრეტული ზარალის დადგომის შემთხვევის ობიექტური მტკიცებულება. გამომწვევ მიზეზებს შორისაა კლიენტის ფინანსური სირთულეები და/ან

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ხელშეკრულების პირობების, მაგალითად გადახდის პირობის დარღვევა. რეზერვის მოცულობა მცირდება დავალიანების იმ თანხით, რომლის ამოღებასაც ჯგუფი საფუძვლიანად ვარაუდობს. ხელმძღვანელობის განსჯით, წარსულ ტენდენციებზე დაყრდნობით შეიძლება ზარალის

პროგნოზირება და ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება ანგარიშების პერიოდის ბოლოსთვის ამოღებადი დავალიანების მოცულობის შესაფასებლად.

გადასახადები

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებულია გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისათვის იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია, რომ დაბეგვრადი მოგება ხელმისაწვდომი იყოს, რომლის მიმართ დანაკარგები იქნება გამოყენებული. ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები საჭიროა იმ გადავადებული საგადასახადო აქტივების ოდენობის დასადგენად, რომელიც შესაძლოა აღიარებული იყოს, მსგავსი დროის გრაფიკის და მომავალი დასაბეგრი მოგების დონის საფუძველზე, სამომავლო საგადასახადო გეგმიურ სტრატეგიებთან ერთად.

იჯარის გაგრძელების უფლება.

როდესაც საწარმოს აქვს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, საკმარისად სარწმუნო იქნება თუ არა ამ უფლების გამოყენება. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც გაწეული იქნება აქტივის შესაცვლელად, თუ ეს უფლება არ იქნება გამოყენებული, რაც მათ დაეხმარება საიჯარო პირობების განსასაზღვრად. ხელმძღვანელობა თვლის რომ მათი შეფასება ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ადეკვატურია.

5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში გამოიცა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ ბოლო ვერსია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, რომელიც ანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს 9-ის ყველა წინა ვერსიას. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს 9 ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, მოთხოვნილია რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულო არ არის. ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში, მოთხოვნები, როგორც წესი, პერსპექტიულად გამოიყენება, გარკვეული იშვიათი გამონაკლისებით. კომპანიამ გადაწყვიტა, ფასს 9-ის გამოყენება გადაავადოს სადაზღვევო ხელშეკრულებების შესახებ ახალი სტანდარტის (ფასს 17) ძალაში შესვლის თარიღამდე, 2022 წლის 1 იანვრამდე, და ისარგებლა ფასს 9-ის გამოყენებიდან დროებითი გამონაკლისის წესით, რომელიც დაშვებულია ცვლილებებით ფასს 4-ში „ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოყენება ფასს 4-ისთვის „სადაზღვევო ხელშეკრულებები“. 2016 წლის სექტემბერში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა ფასს 4-ის შესწორებები, რომელიც გამოწვეულია ფასს 9-ის და ახალი სადაზღვევო კონტრაქტების სტანდარტის ფასს 17-ის ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღებით. ფასს 9 არეგულირებს ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვას და ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. თუმცა, მზღვეველისთვის, რომელიც აკმაყოფილებს გარკვეულ კრიტერიუმებს, ფასს 9 ითვალისწინებს დროებით გამონაკლისს (განთავისუფლებას), რომელიც მზღვეველს ფასს 9-ის ნაცვლად ბასს 39 – „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ – გამოყენების უფლებას აძლევს, მაგრამ არ ავალდებულებს იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2022 წლის 1 იანვრამდე (თავდაპირველად მითითებული იყო 2021 წლის 1 იანვრამდე, თუმცა, 2018 წლის ნოემბერის შეხვედრაზე IASB-მ დროებით გადაწყვიტა ფასს 9-ის მიმართ

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული (გაგრძელება)

გადავადების მიდგომის გამოყენების გაგრძელება კიდევ ერთი წლით). მზღვევებს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეუძლია ფასს 9-ის გამოყენებიდან დროებით განთავისუფლების მიდგომის გამოყენება, თუ:

ა) მას წინათ ფასს 9-ის არანაირი ვერსია არ გამოუყენებია, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც ეხება ისეთ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული შემოსულობის ან ზარალის წარდგენას, რომლებიც საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით; და ბ) მისი საქმიანობა ძირითადად დაკავშირებულია დაზღვევასთან წლიური საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს 2016 წლის 1 აპრილს, ან მომდევნო წლიური საანგარიშგებო თარიღისთვის. გადაფარვის მიდგომა საწარმოს უფლებას აძლევს მოახდინოს მოგებასა და ზარალს და სხვა სრულ შემოსავალს შორის ისეთი თანხის რეკლასიფიკაცია, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებულ აქტივებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ისეთივე სიდიდის იყოს, რაც მიიღებოდა იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებულ ფინანსურ აქტივებთან მიმართებით ბასს 39-ს გამოიყენებდა. საწარმოს შეუძლია გამოიყენოს დროებით გათავისუფლება ფასს 9-ის გამოყენებისგან 2018 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. საწარმოს შეუძლია დაიწყოს გადაფარვის მიდგომის გამოყენება როდესაც დაიწყებს ფასს 9-ის პირველად გამოყენებას. 2017 წლის განმავლობაში კომპანიამ შეაფასა არსებული ცვლილებები და მივიდა დასკვნამდე რომ მისი აქტივობები უპირატესად დაკავშირებულია დაზღვევასთან 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითაც.

ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“

2017 წლის მაისში IASB-მ გამოუშვა ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“, ამომწურავი ახალი სააღრიცხვო სტანდარტი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც მოიცავს აღიარების და შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გახსნის საკითხებს, და ჩაანაცვლებს ფასს 4-ს „სადაზღვევო ხელშეკრულებები“.

ფასს 4-ის მოთხოვნებისგან განსხვავებით, რომლებისგანაც მანამდე მოქმედი ადგილობრივი სააღრიცხვო პოლიტიკები მეტწილად გათავისუფლებულია შეფასების მიზნებისთვის, ფასს 17 წარმოადგენს კომპლექსურ მოდელს (უნივერსალურ მოდელს) სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელსაც ერთვის ცვლადი გადასახდელის მიდგომა ისეთი ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომლებსაც აქვს პირდაპირი მონაწილეობის მახასიათებლები და არსებითად არის ინვესტიციასთან დაკავშირებული მომსახურების ხელშეკრულებები და პრემიის განაწილების მიდგომა, რომელიც ძირითადად გამოიყენება მოკლევადიანი ხელშეკრულებებისთვის და, ჩვეულებრივ, ვრცელდება გარკვეულ არასიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებზე.

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

6. წინა პერიოდის კლასიფიკაციების შესწორება

კომპანიამ, ფინანსური ანგარიშების უკეთ წარდგენის მიზნით, მოახდინა ცალკეულ ელემენტებში კლასიფიკაციის ცვლილება. აღნიშნული რეკლასიფიკაციები არ წარმოადგენს შეცდომის გასწორებას.

რეკლასიფიკაციებმა შემდეგი გავლენა იქონია კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე.

ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე:

31 დეკემბერი 2018	წინა ანგარიშის მიხედვით	რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხები
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	2,696	(22)	2,674
სხვა ვალდებულებები	534	22	556
დებიტორული და სხვა მოთხოვნები	40	(5)	35
წინასწარ გადახდები	156	5	161

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ მომზადებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება ასახავდა როგორც „ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების“, ასევე „მოთხოვნებს საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ“ მოძრაობებს და შესაბამისად ფულადი ნაკადების ანგარიშგების საბოლოო ნაშთიც უტოლდებოდა აღნიშნული ორი მუხლის ჯამს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიამ, უკეთ წარდგენის მიზნით, ფულადი ნაკადების ანგარიშგება მოამზადა იმგვარად, რომ მასში ასახულია მხოლოდ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ „ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების“ მოძრაობა და შესაბამისად საბოლოო ნაშთიც აღნიშნულს უტოლდება. ანალოგიური მიდგომით მოამზადა და წარადგინა შესადარისი ინფორმაციაც, 2018 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება. აღნიშნული არ წარმოადგენს შეცდომის გასწორებას.

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

7. წმინდა გამომუშავებული პრემია

წმინდა გამომუშავებული პრემია 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

2019	სახმელეთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (ავტოკასკო)	ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	სხვა	სულ
მთლიანი მოზიდული პრემია	4,136	2,261	199	26	6,622
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	(339)	(23)	39	6	(317)
მთლიანი გამომუშავებული პრემია	3,797	2,238	238	32	6,305
მინუს: გადამზღვევლის კუთვნილი პრემია მოზიდულ პრემიაში	-	-	-	-	-
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის გადაზღვევის წილში	(4)	-	-	-	(4)
წმინდა გამომუშავებული პრემია	3,793	2,238	238	32	6,301

2018	სახმელეთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (ავტოკასკო)	ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	სხვა	სულ
მთლიანი მოზიდული პრემია	3,806	1,858	296	42	6,002
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	(1,804)	(126)	(125)	(18)	(2,073)
მთლიანი გამომუშავებული პრემია	2,002	1,732	171	24	3,929
მინუს: გადამზღვევლის კუთვნილი პრემია მოზიდულ პრემიაში	(10)	-	-	-	(10)
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის გადაზღვევის წილში	4	-	-	-	4
წმინდა გამომუშავებული პრემია	1,996	1,732	171	24	3,923

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

8. ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები

ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
სახმელეთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	1,966	646
სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული		
სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	198	105
ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო		
პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	123	60
მგზავრების, მძღოლის ან ეკიპაჟის დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან	10	-
სულ ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები	2,297	811

9. წმინდა ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვებში

წმინდა ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვებში 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

2019	ცვლილება განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების ანარიცხებში	ცვლილება დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების ანარიცხებში	წმინდა ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვებში
სახმელეთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (ავტოკასკო)	1,317	2	1,319
ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	(13)	-	(13)
სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	(14)	4	(10)
სხვა	-	-	-
სულ წმინდა ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვში	1,290	6	1,296

2018	ცვლილება განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების ანარიცხებში	ცვლილება დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების ანარიცხებში	წმინდა ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვებში
სახმელეთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (ავტოკასკო)	430	-	430
ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	57	(1)	56
სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	31	-	31
სხვა	(42)	-	(42)
სულ წმინდა ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვში	476	(1)	475

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

10. შემოსავალი რეგრესიდან და გადარჩენილი ქონების რეალიზაციიდან

შემოსავალი რეგრესიდან და გადარჩენილი ქონების რეალიზაციიდან 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
შემოსავალი რეგრესიდან	423	125
შემოსავალი დაზიანებული აქტივების შეფასებიდან და რეალიზაციიდან	319	50
რეგრესიდან მოთხოვნის გაუფასურების ხარჯი	(379)	(78)
სულ შემოსავალი რეგრესიდან და გადარჩენილი ქონების რეალიზაციიდან	363	97

11. აკვიზიციური ხარჯები

აკვიზიციური ხარჯები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
დაზღვევის საკომისიოს ხარჯი	261	238
სულ აკვიზიციური ხარჯები	261	238
წმინდა ცვლილება გადავადებულ აკვიზიციურ ხარჯებში	21	(64)
აკვიზიციური ხარჯები წლის მანძილზე	282	174

გადავადებული აკვიზიციური ხარჯების მოძრაობის ანალიზი

	2019	2018
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები წლის დასაწყისში	64	-
წმინდა ცვლილება აკვიზიციურ ხარჯებში	(21)	64
სულ გადავადებული აკვიზიციური ხარჯები წლის ბოლოს	43	64

12. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან	665	533
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან	412	177
საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშიდან	31	25
საპროცენტო შემოსავალი თამასუქიდან	25	25
საპროცენტო ხარჯი	(1)	-
სულ წმინდა საპროცენტო შემოსავალი	1,132	760

საპროცენტო ხარჯი წარმოადგენს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებულ პროცენტს და შეადგენს 1 ლარს 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ნული ლარი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის).

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
საწევრო შენატანები	275	204
ბონუსის ხარჯი	104	-
ხელფასი და სხვა სარგებელი	84	81
საზედამხედველო საფასური	63	39
აუდიტის ხარჯი	14	14
იჯარის ხარჯი	7	12
ცვეთის ხარჯი	4	-
ბანკის ხარჯი	2	3
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	18
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	566	371

14. საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი

საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2019	2018
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	276	295
სადაზღვევო მოთხოვნები	276	295
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	(178)	(189)
სადაზღვევო მოთხოვნები	(178)	(189)
საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი	98	106

15. მოგების გადასახადი

კომპანიის მოგების გადასახადი მოიცავს მხოლოდ მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯს 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის და შეადგინა 555 ლარი და 466 ლარი, შესაბამისად.

მოძრაობამ გადავადებულ საგადასახადო აქტივში დროებითი ცვლილებების გამო შეადგინა 26 ლარი (მოცემულია ათასებში). კომპანია არ აღიარებს გადავადებული მოგების გადასახადის აქტივს, რადგან მიაჩნია რომ ამ აქტივის გამოყენება ვერ მოხდება 2023 წლამდე. 2023 წლის 1 იანვრიდან სადაზღვევო კომპანიების მოგების გადასახადი გადადის ახალ მოდელზე, რომლის მიხედვითაც სხვაობა ფინანსურ მოგებასა და საადასახადო მოგებას შორის აღარ იქნება და შესაბამისად ვერ მოხდება გადავადებული გადასახადების გამოყენება.

16. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია როგორც ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში და შეადგინა 617 ლარი და 654 ლარი, შესაბამისად. ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია როგორც არასარიცხო.

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

17. მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ

მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საბანკო დეპოზიტები	6,651	5,950
საბანკო დეპოზიტებიდან მისაღები პროცენტი	736	399
სულ მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	7,387	6,349

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ წარმოდგენილია როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი დეპოზიტების სახით და ერიცხება წლიური 9%-დან 11,5%-მდე. ინფორმაცია დეპოზიტებიდან საპროცენტო შემოსავალზე მოცემულია მე-12 შენიშვნაში.

18. სადაზღვევო მოთხოვნები

სადაზღვევო მოთხოვნები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სახმელეთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევიდან (ავტოკასკო)	3,144	2,791
ავტომობილტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	208	141
სიცოცხლის ვადიანი დაზღვევა	61	57
გარანტიები	8	7
სხვა	2	2
სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(828)	(778)
სულ სადაზღვევო მოთხოვნები	2,595	2,220

სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი სადაზღვევო პროდუქტების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სახმელეთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევიდან(ავტოკასკო)	757	399
სიცოცხლის ვადიანი დაზღვევა	61	371
გარანტიები	8	8
სხვა	2	-
სულ სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	828	778

გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია ქვემოთ:

	გაუფასურების რეზერვი
ბალანსი 31 დეკემბერი 2017	748
დარიცხვა პერიოდის განმავლობაში	27
აღდგენა პერიოდის განმავლობაში	(22)
გადაფასების ეფექტი	25
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	778
დარიცხვა პერიოდის განმავლობაში	21
აღდგენა პერიოდის განმავლობაში	(23)
გადაფასების ეფექტი	52
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	828

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

19. დებიტორული და სხვა მოთხოვნები

დებიტორული და სხვა მოთხოვნები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მოთხოვნები რეგრესიდან	465	87
ზარალის შედეგად დაზიანებული აქტივები	42	33
სხვა მოთხოვნები	-	6
გაუფასურების რეზერვი	(456)	(91)
სულ დებიტორული და სხვა მოთხოვნები	51	35

გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია ქვემოთ:

	მოთხოვნები რეგრესიდან	სხვა მოთხოვნები	სულ გაუფასურების რეზერვი
ბალანსი 31 დეკემბერი 2017	-	62	62
დარიცხვა პერიოდის განმავლობაში	77	-	77
ჩამოწერა	-	(48)	(48)
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	77	14	91
დარიცხვა პერიოდის განმავლობაში	423	-	423
აღდგენა პერიოდის განმავლობაში	(44)	-	(44)
ჩამოწერა	-	(14)	(14)
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	456	-	456

20. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გაცემული სესხები	5,030	3,327
გაცემულ სესხებზე მისაღები პროცენტები	221	11
სულ გაცემული სესხები	5,251	3,338

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გაცემული აქვს სესხები დაკავშირებულ მხარეებზე 5,030 ლარის ოდენობით (2018 წლის 31 დეკემბერი: 3,000) 12%-ში, რომელთა დასრულების თარიღი არის 2020 წლის თებერვალი და დეკემბერი. ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ ოპერაციებზე მოცემულია 31-ე შენიშვნაში, ხოლო საპროცენტო შემოსავალზე - მე-12 შენიშვნაში.

21. სხვა ფინანსური აქტივები

სხვა ფინანსური აქტივები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
თამასუქი	200	200
თამასუქზე მისაღები პროცენტი	7	-
სულ სხვა ფინანსური აქტივები	207	200

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ფინანსური აქტივები წარმოდგენილია მიკროსაფინანსო ორგანიზაციისგან მიღებული ერთწლიანი თამასუქის სახით, რომელსაც ერიცხება წლიური 13% და გადახდის ვადაა 28 სექტემბერი, 2020. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივები წარმოდგენილია მიკროსაფინანსო ორგანიზაციისგან მიღებული ერთწლიანი თამასუქის სახით,

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

21. სხვა ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

რომელსაც ერიცხება წლიური 13% და გადახდის ვადა იყო 13 სექტემბერი, 2019. თამასუქის მფლობელს არ შეუძლია თანხის გატანა თამასუქის მოქმედების ვადის განმავლობაში.

22. წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საწევრო შენატანის წინასწარ გადახდა	97	112
დაზიანებულ აქტივებთან დაკავშირებული წინასწარ გადახდა	65	5
წინასწარ გადახდილი ხელფასი	13	20
სხვა წინასწარ გადახდები	25	24
სულ წინასწარ გადახდები	200	161

23. აქტივი გამოყენების უფლებით

აქტივი გამოყენების უფლებით 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საოფისე ფართი	სულ
1 იანვარი 2019	-	-
ფასს 16-ის დანერგვის ეფექტი	52	52
31 დეკემბერი 2019	52	52
დაგროვილი ცვეთა		
1 იანვარი 2019	-	-
ცვეთის ხარჯი	(4)	(4)
31 დეკემბერი 2019	(4)	(4)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2018	-	-
31 დეკემბერი 2019	48	48

ფას 16-ის გამოყენებასთან დაკავშირებით კომპანიამ აღიარა აქტივი გამოყენების უფლებით. კომპანიას იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საიჯარო ხელშეკრულების დარჩენილი ვადაა 8 თვე (აქტივის თავდაპირველი აღიარების თარიღია 2019 წლის 17 აგვისტო); ხელშეკრულება მოიცავს როგორც იჯარის გაგრძელების, ასევე შეწყვეტის უფლებას. ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნული საოფისე ფართის იჯარა გაგრძელდება დამატებით 4 წლის ვადით. საიჯარო ხელშეკრულებით განსაზღვრულია ფიქსირებული გადახდები, წლის განმავლობაში 12 ლარის (მოცემულია ათასებში) ოდენობით.

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“
 ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

24. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სხვა ფინანსური ვალდებულებები	382	232
გადასახდელი საკომისიოები	150	116
სავაჭრო ვალდებულებები	122	94
ასანაზღაურებელი ზარალები	110	22
საგადასახადო ვალდებულებები	417	324
მიმდინარე მოგების გადასახადი	346	277
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	71	47
სულ სხვა ვალდებულებები	799	556

25. ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან

ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019			31 დეკემბერი 2018		
	მთლიანი	გადაზღვევა	წმინდა	მთლიანი	გადაზღვევა	წმინდა
გამოუმუშავებელი პრემიები	2,459	-	2,459	2,145	(4)	2,141
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალები	1,820	-	1,820	530	-	530
დამდგარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალები	9	-	9	3	-	3
სულ ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	4,288	-	4,288	2,678	(4)	2,674

26. საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	14	-
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	39	-
სულ საიჯარო ვალდებულება	53	-

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
თავდაპირველი აღიარებისას	52	-
საპროცენტო ხარჯი	1	-
გადახდები წლის განმავლობაში	-	-
ნაშთი წლის ბოლოს	53	-

31 დეკემბერი 2019	1 წლის განმავლობაში	1-3 წელი	3-5 წელი
საიჯარო გადახდები	17	24	20
ფინანსური ხარჯი	(3)	(4)	(1)
დღევანდელი ღირებულება	14	20	19

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

26. საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარებისას საიჯარო ვალდებულება და აქტივი გამოყენების უფლებით წარმოდგენილია ერთი და იმავე თანხით და აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას საიჯარო ვალდებულების ოდენობით, რომელიც კორექტირდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იჯარასთან დაკავშირებული ყველა წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადასახადების თანხით (კონკრეტულ შემთხვევაში არ ფიქსირდება წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადასახადების თანხა).

27. კაპიტალი

სააქციო კაპიტალი შედგება 2,500 ცალი ჩვეულებრივი აქციისაგან, თითოეულის ნომინალური ღირებულებაა ერთი ლარი (არაა მოცემული ათასებში). 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“. გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში დარჩენილი წმინდა მოგების ნაწილს, რომელიც გაუნაწილებელია. 2019 წლის ივნისში კომპანიამ გამოაცხადა და გასცა 2018 წლის მოგებიდან დივიდენდის სახით 1,500 ლარი. კომპანიას დივიდენდები არ გამოუცხადებია 2018 წლის განმავლობაში.

28. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ფინანსური რისკი მოიცავს **საბაზრო რისკს** (მათ შორის **სავალუტო რისკს**, **საპროცენტო რისკს** და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე **საკრედიტო რისკებს** და **ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს**. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის.

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	17	7,387	6,349
გაცემული სესხები	20	5,251	3,338
სადაზღვევო მოთხოვნები	18	2,595	2,220
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16	617	654
სხვა ფინანსური აქტივები	21	207	200
დებიტორული და სხვა მოთხოვნები	19	51	35
სულ ფინანსური აქტივები, დაკავშირებული საკრედიტო რისკთან		16,108	12,796

საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

საპროცენტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთის დონეებში მომხდარი ცვლილებები, თუმცა კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტები მხოლოდ ფიქსირებულ პროცენტთანაა, შესაბამისად საპროცენტო რისკი ამჟამად არ ახდენს გავლენას კომპანიაზე.

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

28. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები. კომპანიის მხოლოდ აქტივებია, კერძოდ სადაზღვევო მოთხოვნები, დენომინირებული რამდენიმე უცხოურ ვალუტაში, ვალდებულებები კი ფიქსირდება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავისი ვალდებულებების შესრულება. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერი ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალ მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაეკემდებარებიან გადახდას. კომპანია მართავს ლიკვიდურობის რისკს მოსალოდნელი გადახდის ვადების საფუძველზე. 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლიკვიდურობის ანალიზი არის შემდეგი:

31 დეკემბერი 2019	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	4,551	2,836	-	7,387
გაცემული სესხები	5,251	-	-	5,251
სადაზღვევო მოთხოვნები	2,595	-	-	2,595
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	617	-	-	617
სხვა ფინანსური აქტივები	207	-	-	207
დებიტორული და სხვა მოთხოვნები	51	-	-	51
სულ ფინანსური აქტივები	13,272	2,836	-	16,108
ფინანსური ვალდებულებები				
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	4,288	-	-	4,288
სხვა ვალდებულებები	382	-	-	382
საიჯარო ვალდებულება	14	39	-	53
ვალდებულება გადაზღვევიდან	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,684	39	-	4,723
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	8,588	2,797	-	11,385

31 დეკემბერი 2018	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ	6,349	-	-	6,349
სადაზღვევო მოთხოვნები	2,220	-	-	2,220
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	654	-	-	654
სხვა ფინანსური აქტივები	200	-	-	200
დებიტორული დავალიანება	35	-	-	35
გაცემული სესხები	-	3,338	-	3,338
სულ ფინანსური აქტივები	9,458	3,338	-	12,796
ფინანსური ვალდებულებები				
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	2,674	-	-	2,674
სხვა ვალდებულებები	232	-	-	232
ვალდებულება გადაზღვევიდან	9	-	-	9
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,915	-	-	2,915
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	6,543	3,338	-	9,881

კომპანია თვლის, რომ გადაიხდის ყველა ვალდებულებას საკონტრაქტო ვადაში. ამისათვის კომპანია ელოდება საკმარის ფულად ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან.

29. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

კაპიტალის მართვის ძირითადი მიზანია მუდმივად განახორციელოს კომპანიის წინაშე არსებული რისკების შესაბამისი, კაპიტალის სათანადო დონის მონიტორინგი და უზრუნველყოს მისი შენარჩუნება. კომპანიის კაპიტალის მართვის ძირითადი მიზნებია:

- „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ (შემდგომში „ზედამხედველობის სამსახური“) მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- ვადადამდგარი სადაზღვევო ვალდებულებების დასაფარად მიღებული აქტივების შედგენისა და სტრუქტურის უზრუნველყოფა და მარეგულირებელი მოთხოვნების გადაჭარბება; და
- კომპანიის სტაბილურობის მოთხოვნილი დონის უზრუნველყოფა პოლისის მფლობელების უსაფრთხოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

კომპანიის ინტერესში შედის კაპიტალის ადეკვატური რესურსების უზრუნველყოფა ნებისმიერ დროს და შესაბამისი ნომინალური მარეგულირებელი კაპიტალის მოთხოვნების შესრულება. კომპანიას ტრადიციულად გააჩნია კაპიტალის ძალიან კარგი რესურსი. ამ კარგი კაპიტალის ბაზის შენარჩუნება ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის მომავალი მიზნებისთვის, რათა გაზარდოს მომგებიანობა და უზრუნველყოფილ იყოს დიდი ზარალის მოვლენების ეფექტების შემსუბუქება.

კაპიტალის მონიტორინგის და მართვის ნაწილია კომპანიის ინვესტიციების და რისკების მართვის სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია მუდმივად შენარჩუნდეს სახსრების მინიმალური დონე, რომლებიც განთავსებულია წამყვან ქართულ ბანკებში. აქტივების სტრუქტურის კონტროლი ასევე ხორციელდება დამფუძნებლებისთვის მომზადებული და გაგზავნილი ყოველთვიური ანგარიშგებებით, რომელიც შეიცავს კომპანიის ფინანსური დირექტორის მიერ შემოწმებულ შესაბამის გაანგარიშებებს.

მარეგულირებელი მოთხოვნები:

- საქართველოში სადაზღვევო სექტორი რეგულირდება „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ. „ზედამხედველობის სამსახური“ სადაზღვევო კომპანიებს უწესებს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნას. აღნიშნული მოთხოვნის მიზანია სადაზღვევო კომპანიებმა უზრუნველყონ საკმარისი გადახდისუნარიანობის მარჯის ოდენობა.
- „ზედამხედველობის სამსახურის“ 2017 წლის 25 დეკემბრის ბრძანების №27 თანახმად, 2018 წლის 31 დეკემბრიდან მზღვეველისთვის სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 4,200 ლარზე (მოცემულია ათასებში) ნაკლები. აღნიშნული თანხა განთავსებულ უნდა იქნას ნაღდი ფულის, ფულთან გათანაბრებული სხვა საშუალებების და ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრების სახით.
- კომპანია ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული საკუთარი კაპიტალის კორექტირებას, რათა მოხდეს საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშება.
- კომპანია ახორციელებს კაპიტალის ოდენობის რეგულარულ მონიტორინგს, რათა გამოირიცხოს მოთხოვნილი კაპიტალის დეფიციტი. იმისათვის, რომ კომპანიამ შეინარჩუნოს ან შეცვალოს კაპიტალის სტრუქტურა, შესაძლებელია მოხდეს ცვლილება ან დივიდენდის ოდენობაში ან მოხდეს საკუთარი კაპიტალის გაზრდა.

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

29. კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, კომპანია სრულ შესაბამისობაში იყო კაპიტალის დადგენილ მოთხოვნებთან და წინა წელთან შედარებით არ ჰქონია ადგილი კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკის, მიდგომების და პროცესების ცვლილებას.

საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს სულ მცირე გადახდისუნარიანობის მარჯის ოდენობის ან 2,200 ლარი (მოცემულია ათასებში) 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე;

საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს სულ მცირე გადახდისუნარიანობის მარჯის ოდენობა ან 4,200 ლარი (მოცემულია ათასებში) 2018 წლის 31 იანვრიდან პერიოდის განმავლობაში. 2020 წლის 31 დეკემბრიდან საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 7,200 ლარზე ნაკლები.

„საზედამხედველო კაპიტალი“ განისაზღვრება ევროკავშირის მიერ დადგენილი ფასს-ებით განსაზღვრული კაპიტალით, რომელიც კორექტირდება, მაგალითად, ინვესტიციებით შვილობილ ორგანიზაციებში ან მოკავშირე საწარმოებში, არაუზრუნველყოფილი და უზრუნველყოფილი სესხებით და ა.შ. „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ №16 დირექტივის შესაბამისად. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებს საზედამხედველო კაპიტალის და გადახდისუნარიანობის მარჯის მოთხოვნებს.

30. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

31. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

31. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები (გაგრძელება)

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	კავშირი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გაცემული სესხები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	5,251	3,327
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	444	477
სადაზღვევო მოთხოვნები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	282	297
სულ		5,977	4,101

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	კავშირი	2019	2018
ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	607	254
წმინდა ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვებში	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	36	149
წმინდა ზარალები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	643	403
წმინდა მოზიდული პრემია ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	461	662
		69	(328)
წმინდა გამოუმუშავებული პრემია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	530	334
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	405	170
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	12	12

უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა	2019	2018
ხელფასი და სხვა განაცემი	112	8
სულ	112	8

32. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 8 აპრილს:

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2020 წლის 28 თებერვალს კომპანიამ გამოაცხადა და გაანაწილა დივიდენდი 2,100 ლარის ოდენობით.
- 2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში, 2020 წლის 21 მარტს, გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა 1 თვის ვადით. შექმნილი ვითარების გამო, სადაზღვევო ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანია მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება. თუმცა, ჯერ ნაადრევია ზუსტი პროგნოზის გაკეთება თუ რა გავლენა ექნება კრიზისის მის საქმიანობაზე. ასევე, განუსაზღვრელია თუ რა დრო დასჭირდება აღნიშნული კრიზისიდან გამოსვლას, ასეთი გლობალური სახის ინტეგრირებული კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და კორპორატიულ გამოცდილებას მსგავსი შემთხვევა არ ახსოვს. კომპანია მონაწილეობას იღებს COVID-19-თან ბრძოლაში, რაც გამოიხატება შემდეგი ღონისძიებების განხორციელებაში: შეთავაზებულია დისტანციური მუშაობა და მოქნილი სამუშაო საათები თანამშრომლებისთვის.

აღნიშნული მოვლენის შედეგად, ხელმძღვანელობის შეფასებით, 2020 წელს მოსალოდნელია როგორც კორპორატიული სექტორის, ასევე საზღვრის TPL-ის პორტფელის ნაწილობრივ შემცირება 2019 წელთან შედარებით. ხელმძღვანელობის შეფასებით, ზემოთ ჩამოთვლილი ნეგატიური ფაქტორები არ შეუშლის ხელს კომპანიას საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, როგორც ეს აღნიშნულია მე-2 განმარტებით შენიშვნაში.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.